

შინაური საქმეები

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.



№ 2.

კვირა, იანვარი 11, 1909 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.
ნახევარი წლით — 2¹/₂ მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეცკათ,
აღრმის: ქუთაისი „შინაური საქმეების“
რედაქცია.

შინაური: ჩვენი დროის ყალბი მხარეები—ბოსლევლისა; ცნება სოციალიზმზე და მისი ისტორია—ნაცარ-ყანელისა; ილია ჭავჭავაძე (გაგრძელება)—ხომელისა; „შინაური საქმეების“ მეგობრებს—კინკილეუთელისა; არა იცით წერილისა და სტეფით—ალექსი ბერისა; პირველი ფურცელი ბიბლიისა (გაგრძელება)—რონოფრე მწირისა; პასუხად სერგია ჯინჭველაშვილს—სანდრო სენაძისა.

რედაქცია უმორჩილესად თხოვს ხელის მომწერთ

წინამდგინონ 1908 წლის ხვედრი ფასი.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

„შინაურ საქმეებსზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და სავარჯიშო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2¹/₂ მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

ჩვენი დროის ყალბი მხარეები.

(ძველ ქალღმერთში)

ხომ მოგესხებოთ მოცლილი გაცის ამბავი: სჩქე რომ შემოუღვეს, წინარეკედლობის დაიწეეს. მეს, საქმე შემოღვეს, ძველ ქალღმერთს ჩსრეკა დაუწეეს და წაქედა შემდგ სანტერესო სიას, რომელიც სოფელ სანტარძელს მაცა თავის საქმაროსიუის სხვა და სხვა საქმარწილო მოწეობილებს სიადლად. მოგეგვს სესებით ეს შესანიშნო დოკუმენტი, რომელიც ცხადად მოწმობს, თუ რამდენად გამყდარა აქვსთ მკადრბილში თანამედროვე სოფელკაცებს ჩვენი ქებული ცივილიზა-

ციის უაღბო გამლატაკებელი მხარეები. აი სხუთიც ისე, როგორც იგი აწერილას სააში: „საყიდლები თუთხმეტი არშინი შავი აბრეშუმი ერთი არშინი ბორდოს ფერი სწეოა წინ კაბის შავი არშია — ორი არშინი ორი არშირი ლენტი კეშოკაანი თორმეტი არშინი შავი კარდის ფერი სამკორ-დლო ორი არშინი ოქროსფერი არშია — რაც ფერი არშია იმ ფერი ორი არშინი ლენტი, (აჭ მძიმე უსიხ) თეთრი ფელარ. ერთი არშინი. (წერტილი) მკორე კაბის სარწული თორმეტი არშინი ოცდა-ორი არშინი პირკალი (წერტილი) ბლარსეტი ოქროსი ვაჭვის ფელანა ტუფლი და კალოში ფელაქებიანი. (უთუოდ ფელაქებიანი უელაანი ტუფლი იქსება) თეთრი ჩულქება ფეხთქება თეთრი (ორ წერტილი) კრწინიკა არშია იაფის ექვსი არშინი (მძიმე) ჰედესიატ ნომერი შავი აბრეშუმის ძაფი (წერტილი) კარდის ფერიც ჰედესიატ ნომერი (რადაც მძიმესაკით) კარდის ფერიც ჰედესიატ ნომერი თეთრი ძაფი აბრეშუმის ჰელატოკი კარდის ფერი (არც წერტილს გავს, არც მძიმეს) ფელაქე-და.“

როგორც ხედავთ, არც სულ გაუნთლემკლია ჩუნი სოფელი დედოფანთა მხარეების „ფელაქე“, „ფელანა ტუფლები“, „ქალღმერთის“ ოქროსი ვისრ კვის ბლარსეტი, იცნობს მოწმებს და ქვეს მძიმე.



კაბის გაწეობისა ლენტეზით და არშეებით, იცის, რომ საგვირგეწონო კაბის მეორე დღეს ჩანდა მიღებული ანა, რომ ამისთვის საჭიროა „სამეორედლო“ კაბა. იცის უოლიფერი ეს და სისტიკ ბრძანებას აძლევს თავის საქმროს, ამ საქმროს, რომელსაც ხვალ თუ არა ზეგ მანინ სადილი უნდა წაუღოს ფანაში და თან ძროსა გაიდნოს სხადასოთ, ბრძანებას აძლევს ისეთი ნიკოტა იფიდოს, რომლებსი ხმარება მსოფოდ რამდენჯერმე შესვდება სიცოცხლეში და სხნ ისე დაუმიჩნება, რომ ვერსად ჩანდეს ვერ მოასურსებს.

ჩვენი დედოფალი, როგორც ნაწერს ეტეობა, სკოლაშიდაც უოფილა: მის იცის წერტილი, მიძიკე, „ველსიატი“ და სხვა. ერთი სიტუვით ზიარებულა კერძიული ცივილიზაციის სისხლით და ხორციით. ვინ აზიარა იგი ამ სისხლითა და ხორციით? სკოლამ, ქალაქმა და მადამ საზოგადოებამ.

სკოლა! რა არის ეს ღანდელი ჩვენი სკოლა? რის მიქნისია! რას წარმოადგენს? რას იძლევა? შეკესით დაბალ სკოლას. რა არის დაბალი სკოლა? დაბალი სკოლა არის ის დაწესებულება, რომელიც აშორებს ხალხს დედომიწას, ჭქმნის გონებით დატაგებს, ბადებს უკმაყოფილებას, ბედის მომდურაობას, სოციალიზმის მოწინავე ბრძა რაზემელებს, რომლებსაც შრომისთვის გული ვერ დაუდვიათ და ჭკონათ მოძვეალ საზოგადოებაში სუფთონივით მოსვენებულს წელმდის ვერებათ წვენი და ღოძი. ბაჭის რომ სკოლაში მისცემს ჩვენი გლეხი, მის გამოცდილებით უკვე იცის, რომ მის იგი აღარ არგია არც სათახნათ და არც სახნავათ. ის უკვე განათლებული ვატი შეიქნა, მის აღარ შეუერის მიწის მუშაობა. ის ან „ჩინონიკი“ უნდა გასდეს, ან „ჩინიტელი“. ან კიდევ ახალმოდის სკოლის ცაცია, ე. ი. უვაცობის პრობაგანდისტი, უოკელ შემთხვევაში კი თავის ბედის მომდურავი და მაწუევი. მის მუშაობა და საკვდილი მის ერთად მახნია. სხვაგან რომ ნიკავი ჭქმოს ამას არჩევს, ვადრე მის ხატაბურება ჭამოს. სხნდისხან რომ მღელტო-სურთუგმა ან ჩინა-უმირობაში მის გამოწვიზინებულნი მოვა და თავის ტოლ ვმაწვილებს თავლებს დაბრეციებს, მთელ ჭვეუნას ურჩევნია. ნასწავლს რომ დაუძახებენ და ჭვეუნს ვითხვენ, ეს რომ უდიდესი ბედნიერება. ამხარად ცილდება და ცილდება სოფელს მუშა ხელი და რა გასაკვირბ-

დაა, რომ მოსაკული შემცირდეს და შური გაძვირდეს. არა თუ ესენი, განსაკუთრებით სამეურნეო სკოლა და მთავრებულებიც ვერ ასურსებენ მის მოსვლას და თავის სწავლის გამოყენებას. ისინიც გაურბიან მუშაობას, რომელსათვისაც ვითომ მოამზად და სკოლამ... მოდა!....

ესეა, როგორც მოგვსენებათ, სქესობრივ თანსწორობას ქადაგებენ და რა თქმა უნდა ქალაც ცდილობს არ ჩამოუარდეს თავის ნასკვარს. თუ „შკოლნიკი“ აღარ უბრუნდება ოჯახს, აღარც „შკოლნიცას“ აქვს გული მაწე. იგი ვადის ქალაქში და ხედავს ათასნარად ვუვაკებულ და ამაღვილებულ „ბარშინებს“ და, ღმერთო კი მოკალი, განა ვის ჩამოუვარდება? არა თუ დედოფლობაში, „ბარშინობაშიდაც“ ბევრ აბრეშუებს დახვეს, ბევრ შლავებს გამოცვლას და თუ დედოფლობასი მოესწრო!... რათქვენი სავადრისია! ვაჭვის ოქროს „ბრალსეტს“ როგორ ან იფიდის. ისე სწორეთ არ დაიდგამს გვირგვინს. ან კი რათაო? რა მაწე უკეთესები არიან ის ქალები, რომლებიც ვვირგვინს ვარემეც ათასნარ ზიზლიბიტებს ატარებენ!....

მართლა რა სისცილოა ეს ზიზლიბიტები! რამდენი მიფიქრნია მათ მნიშვნელობა-ღირებულებაზე და უოკელთვის ერთ დასკვნაზე მივსულვარ: ივინი არიან ხყოფი გამოვითარებლობის, უსუსურობისა, ბავშური ვატარებასა. მაგონდება ამერიკელ ველურების საქციელი, როცა ვირკელი შესული ვკრობილება ნასეს და მათ მოტახილ მუშის ზიზლიბიტებს დაერინენ. როცა საყურე ჩამოვიდებულ მანდილოსანს ეხედავ, მაგონდება ველური რომელიც ცხვირს ახურეტს და შიგ სვილასი ძვალს იფრის. რა არის ეს „ბრალსეტი“, რომლისთვისაც თავს იკლავს ვატარძალი და უმისოდ ქმარსაც არ მიჭეება. რის მიქნისია, რა ღირსეულებს უმეტებს მის ვირად ღირსებას? და თუ რამეს მიქნისია რატომ არის, რომ მარტო შესახედავით ატარებს და არა უოკელთვის, მაგ. მამინიკ კი, როცა მის ზის და არიან უეურები? მერე როგორ გგონათ? იაფად უფის ვაცობრიობას ეს „ბრალსეტი“ და სხვა ამგვარი ზიზლიბიტობა? რანდენა მილიონი მუშა ხელი ცდება მათთვის, რამდენი ადამიანის სიცოცხლე იღუბება მისთვის, რომ სადაც ზღვის უფსურული ერთი მარგალიტის მარტვლი ამოკოს, ის მარგალიტის მარტვლი, რომელიც

კრალაჯის გონიერმა მამალმა ქერის მარცვლის
ღიწისივ არ გახდა!....

ბოსლეველი.



ცნება სოციალიზმზე და მისი ისტორია

1. ცნება სოციალიზმზე. მისი დამოკიდებულება კომუნისმთან.

კომუნისმა უფრო ზოგადი ცნებაა, ვიდრე სოციალიზმი. კომუნისმად, ვრცელი აზრით, გულისხმობენ ქონებათა, ან საზოგადოებრივ მოსახლობის ზოგადობას. პლატონი თავის თხუზულეებში გვიხატავს იმისთანა სახელმწიფო წყობილებას, რომელშიც ყოველივე ქონება არის საზოგადო კუთვნილება. ამ გვარ წყობილებას კომუნისტურს უწოდებენ.

არის რაოდენიმე სახე კომუნისმისა, რომელთა შორის მათში უმთავრესნი ესენია:

1. უარ ყოფითი კომუნისმი, რომელიც უარჰყოფს კერძო საკუთრებას. ყოველივე ნაყოფი შრომისა უნდა იქმნეს საზოგადოების ყველა წევრთა განკარგულებაში თანასწორად თვითეულზე. წარსული საუკუნის მეორეოცე წლებში კომუნისმის ამ ფორმას თავგაბოდებით ქადაგებდა მ. გესი. განუსაზღვრელი უფლება სიამოვნებაზე, არა სავალდებულო შრომა და იმავე დროს კი ბეჯითი მუშაობა ყველასი საზოგადო სარგებლოაისთვის, აი საფუძველი მისი სახარებისა. ჩვენ დროში არც ერთი მეცნიერების მიმდევარი კაცი არ იღებს თავზე ამ სულელურ სისტემის დაცვას. რადგანაც ცხადია, რომ იმ დროს, როცა არავის არა აქვს უფლება დაუშალოს ვისმე თავის საგნებით სარგებლობა, დაიკარგება ყოველივე იძულება შრომისადმი, რის გამოც მალე უნდა დადგეს ნაკლებობა ყველაფრისა და დიდი უწყობა საზოგადოებაში. მაგალითად, ვინ მოჰკიდებს ხელს მინდვრის შემუშაებას, თუ ყველას, ვინც მოისურვებს, შეუძლიან ისარგებლოს მოსავლით?

2. დამტკიცებით კომუნისმს სურს, რომ

ქონებრივი სიკეთე მთლად ან ნაწილი მისი მიეცეს საზოგადოებას, რომელიც გახდება ამ სიკეთეთა მესაკუთრე, განაგებს და გაანაწილებს მათ კერძო პირთა შორის. დამტკიცებითი კომუნისმი განიყოფება ორ ან სამ სახეთ.

ა) უკიდურესს დამტკიცებითს კომუნისმს სურს ყველა სიკეთე განურჩევლად მისცეს საზოგადოებას და შემოიღოს საზოგადო წარმოება და სარგებლობა სიკეთით (საზოგადო სასაღიფოები, საავადმყოფოები). ამ გვარი კომუნისმი იყო ძველ კომუნისტთა იდეალი, ნამეტნავად კი სარწმუნოებრივ მწველებელთა.

ბ) ზომიერი დამტკიცებითი კომუნისმი სკდილობს გააუქმოს მხოლოდ უფლება კერძო საკუთრებისა საწარმოო იარაღზე და გადასცეს ეს უფლება საზოგადოებას.

საწარმოო იარაღად აქ იგულისხმება ყველა ღირებულობა, რომლის საშუალებითაც შეიძლება შექმნა ახალ ღირებულებათა. ამას ეკუთვნის მიწა, ყოველივე სახე შეუმუშავებელი მასალისა, ფაბრიკები, მანქანები, გზები, მოკლედ ყველა ის ღირებულობანი, რომელნიც პირდაპირ არ იხმარებიან. აწინდელს დროში მხოლოდ ამ ზომიერს კომუნისმს ჰყავს მომხრეები. ის განიყოფება ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე გრუბად—ანარქისმად და სოციალიზმად.

ა) ანარქისმი (ანარქიული კომუნისმი) მოითხოვს, რომ საწარმოო იარაღი გადაეცეს მუშათა ავტონომურ ჯგუფს, ან მუშათა კავშირებს. ამ ჯგუფში, რომლებიც გაერთიებული არიან ფედერაციული კავშირით, თვითეულმა სრულად უნდა მიიღოს თავისი შრომის ნაყოფი. ანარქისტებს სურთ განახორციელონ სრული თავისუფლება და თანასწორობა ყველასი, მაგრამ ანარქისმს არა აქვს აზრად სრული ანარქია და უწყობა. თუ ჰკითხეთ ანარქისტს, როგორ შეიძლება საზოგადოებაში იარსებოს რაიმე წესიერებამ, თუ მოისპო ყოველივე სახელმწიფო ფუნქცია (ჯულმდებლობითი, ადმინისტრაციული, სამოსამართლო, საპოლიციო და სხვა, ანარქისტები გვიითებენ თანამედროვე განვითარების თეორიაზე, რომლის თანახმადაც კაცობრიობა თანდათან მი-

დის წინ გაუმჯობესების გზით. კლასურ გარჩევის და ერთის მეორეზე ბატონობის მოსპობის შემდეგ, თავისთავად აღდგება წესიერება თანხმობის ცხოველი გრძობის განვითარების გამო, რომელიც მაშინ მოიცავს კაცობრიობას. ყველა იმაცადინებს, რომ თვითნებმა აკეთოს ის, რაც შეეფერება მის მიდრეკილებას, მხოლოდ ამით ნუ დაარღვევს სხვის უფლებას; ანარქისტების წარმოდგენით სოციალურ კავშირად ხალხისა ერთმანეთში იქნება თავისუფალი თანხმობა, ხელშეკრულობა სახელმწიფოსგან ძალდაუტანებლად.

ანარქისტები, სოციალისტების წინააღმდეგ, თავის მიზანთა მისაღწევად უარყოფენ ეგრეთ წოდებულს პოლიტიკურ საშუალებებს, როგორც მაგ. მონაწილეობის მიღებას არჩევნებში, საპარლამენტო გამოსვლაში და სხვა. იმათ, მეტწილად, ძალის იმედი აქვთ (ბომბები და სხ.), რომ რაც შეიძლება, მალე აუგონ ანდერძი აწინდელს საზოგადოებას; უკვე პრუდონი (1862 წ.) ჰქადაგებდა ანარქიზმის პრინციპებს, მის შემდეგ კი მაქს შტირნერი (ფსევდონიმი კარლ შმიდტისა † 1857); მაგრამ ანარქისტულ პარტიის ნამდვილ დამაარსებლად ითვლება რუსი ბაკუნინი († 1876). დაწვრილებით ანარქისტული თეორია ცოტად არის შემუშავებული და სხვა და სხვა ანარქისტთა შეხედულებანი ბევრით არა ჰგვანან ერთმანეთს. გარდა მოხსენებულთა, ცნობილია კიდევ ანარქისტები რუსი თავადი კრაპოტკინი, გეოგრაფი ელიზე რველიუ, ი. მოსტი, წინად სოციალისტად იამყოფი და იოვან მაკაი.

1901 წ. მაისის დამდეგს გერმანელმა ანარქისტებმა გამოაქვეყნეს შტუტგარტში შემდგარ კონგრესის დადგენილების სახით, მანიფესტი გერმანელ-რევოლუციონერ მუშათა მიმართ, რომელშიც პირველად მოყვანილია მათი პროგრამა.

„თანამედროვე საზოგადო წყობილება, ნათქვამია ამ მანიფესტში, აშენებულია ერთ კლასის მეორეზე ბატონობის სისტემაზე და მუშათა კლასის დაჩაგრვაზე. საზოგადოებრივ-პოლიტიკური კანონები ხელს უწყობენ მხოლოდ

იმას, რომ მუშები ჰყვანდნენ ცთომილებაში და კმაყოფილებაში თავისი ხვედრით; ამიტომ, მომეტებულ ნაწილად, ისინი საზარალოდ მოქმედობენ. ამიტომ ანარქისტები უარს ამოაბენ სახელმწიფოს საპარლამენტო და კანონ მდებლობითს მოქმედებაში მონაწილეობის მიღებაზე. რევოლუციონერი მუშები სცდილობენ გარდაჰქმნან მიწა, საწარმოვო იარაღი და ყველა კულტურული შენობა საზოგადო საკუთრებად. მათი მიზანია — თავისუფალი სოციალისტური საზოგადოება, რომელშიც თვითნებულს შეუძლიან მოეწყოს თანხმად თავისი პირადი სურვილისა და გემოვნებისა. მიუხედავად სასტიკ დევნისა სახელმწიფოს, კაპიტალის და მოწინააღმდეგე პარტიათაგან, რევოლუციონერი მუშები მედგრად იბრძვიან მიზნის მისაღწევად. „რევოლუციონერული ფედერაცია“ სცდილობს მიზანს მიადწიოს სწავლავანათლების, აზრთა და გრძობათა გარეგოლიუციონერების, ანარქისტული პრესის დახმარების, შესაფერ კლუბების დაარსების საშუალებით. მუშები უნდა ჩათრეულ იქმნენ ეკონომიურ ბრძოლაში, მათ უნდა შეჰქმნან ორგანიზაციები, შრომის არტელები, მომხმარებელი საზოგადოებანი, რომ ამ რიგად ხელში ჩაიგდონ წარმოება და დააჩქარონ პროცესი საზოგადოების სოციალიზაციისა. აი ჩვენი იჟედები, ჩვენი მიზანი და ჩვენი მეტოდი. ჩვენ ვიბრძვით გამარჯვების იმედით. ეს გამარჯვება მდგომარეობს მთელი ერის თავისუფლებაში და კეთილმდგომარეობაში.“

ანარქისტ თეორეტიკებთან ერთად არსებობენ ანარქისტ-პრაქტიკები, რომლებთანაც რასაკვირველია, საქმე არა აქვს თეორიულ მკვლევარს. ამ უკანასკნელთა სურთ მოსპონ ყოველივე ავტორიტეტი, ძირიანად ამოფხრან რა მოხდება მაშინ, ეს მაშინ გამოწინდება. ამგვარი მსჯელობა შეუძლიანთ მხოლოდ ტვინ გამოწწვარ“ კაცებს.

ანარქისტებისგან განირჩევიან ფრანგი კომუნისტები, რომლებსაც სურთ პოლიტიკური თავისუფლება თემებისა და ამიტომ არა სურთ სრულიად მოსპობა კერძო საკუთრებისა. საფრან-

გეთში კომუნისტებად ითვლებიან 1871 წლის კომუნის მომხრეები.

განსაკუთრებით რუსული მოვლენა არის ნაგალიზმი, რომელიც თავის მიმდევართ შორის ბევრს ანარქისტებს სთვლის, მაგრამ თავის თავად არის მხოლოდ პოლიტიკო-რევოლუციონური, პოლიტიკური პარტია, რომლის მიზანიც არის დამოხდა თვით მპყრობელი მეფისა.

6) სოციალიზმი (სოციალისტური კომუნიზმი) მოითხოვს, რომ საწარმოვო იარაღი საზოგადოების (სახელმწიფოს) საკუთრებად გახადოს და ამ რიგად საზოგადოებას (სახელმწიფოს) საშუალებით წესიერად მოაწყოს წარმოებას და ნაწარმოების განაწილებას. რადგანაც ეხლანდელს სოციალისტებს, კარლ მარქსის მიმდევრებს სურთ ეს ორგანიზაცია განახორციელონ მთლად დემოკრატიულ პრინციპებზე, ამიტომ ისინი თავის თავს უწოდებენ სოციალ-დემოკრატებად, თავის სისტემას კი სოციალდემოკრატიზმად. სოციალდემოკრატიზმის მოკლედ განმარტება შეიძლება ესრე: ეს არის სახალხო სამოსახლო, ან სახალხო ეკონომიური სისტემა, რომელსაც სურს შემოიტანოს უფლება წაუერთმეველი საზოგადო საკუთრებისა საწარმოვო ყველა იარაღზე და დემოკრატიულ სახელმწიფოს საშუალებით მოაწყოს წარმოება და განაწილება ნაწარმოებისა.

.... ჩვენ ვუწოდებთ სოციალიზმს საზოგადოებრივ—ეკონომიურ სისტემად. ჩვენ ამით იმისი თქმა არ გვინდა, რომ ის სრულიად არ ეხებოდეს პოლიტიკურ მხარეს, არ შეიცავდეს არავფარ მოთხოვნას არსებული საზოგადო წყობილების შეცვლის შესახებ. ამით ჩვენ მხოლოდ აღნიშნავთ, რომ არსება სოციალიზმისა მდგომარეობს საწარმოვო იარაღის გასაზოგადოებრივობაში, ნაციონალიზაციაში და ნაწარმოების განაწილების საზოგადო ორგანიზაციაში. სოციალიზმი, როგორც იგი ესმით მის თანამედროვეთა მიმდევართ, არის პირველად ყოვლისა და უმეტესად ყოვლისა საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემა, ხოლო შემდეგ, ეკონომიურ საკითხთაგან და მოკიდებით და მათთან დაკავშირებით, იგი ეხება პოლიტიკურს საკითხებს, ოჯახურ და-

მოკიდებულებას და სხ.

.... ჩვენი განმარტებიდან სჩანს, რომ ყოველი სოციალისტი არის კომუნისტი ამ სიტყვის ვრცელი მნიშვნელობით და არა წინააღმდეგ. კომუნიზმი (დამტკიცებითი) დამოკიდებულია სოციალიზმთან ისე, როგორც ნათესავი სახესთან. კომუნიზმი ეწოდება ყველა სისტემას, რომელიც მოითხოვს ქონების ზოგადობას, ან ქონებათა საზოგადო ფლობას, სოციალიზმი კი არის მხოლოდ იმისთანა სისტემა, რომელსაც სურს წარმოება ქონებისა და განაწილება მისი მოაწყოს საზოგადოების საშუალებით. ამგვარი ორგანიზაცია ბუნებრივად გულისხმობს წარმოების იარაღის საზოგადოებრივ ფლობას.

კარლ მარქსი, დამაარსებელი თანამედროვე სოციალიზმისა, სრული უფლებით უწოდებს თავის თავს კომუნიზმის მიმდევრად, რადგანაც ცნება ნათესაობაზე ყოველთვის შედის ცნებაში სახეზე. ყოველი ცხენი არის ცხოველი, მაგრამ არა ყოველი ცხოველი არის ცხენი. მსგავსად ამისა, ყოველი სოციალისტი იმავე დროს არის კომუნისტი, მაგრამ ყოველი კომუნისტი არ არის სოციალისტი. ცხადია, აგრეთვე ისიც, რომ არც კომუნიზმში, არც მის სპეკიულურ ფორმაში, რომელსაც ეწოდება სოციალიზმი არ არის ლაპარაკი ქონებათა არც ერთდროებითს, არც პერიოდულად გაყოფის თაობაზე.


ცხადია, შემდეგ, რომ არ შეიძლება წმინდა სოციალისტებად ჩავთვალოთ ეგრეთწოდებული სოციალისტ-აგარისტები, რომლებიც უარყოფენ კერძო საკუთრების უფლებას მხოლოდ მიწაზე, თუმცა მათი მოძღვრების საფუძვლები, ზიანს აყენებენ საზოგადოდ კერძო საკუთრებას. აგრეთვე სოციალისტებად არ ჩაითვლებიან ეგრეთწოდებული სახელმწიფო სოციალიზმის წარმომადგენლები, რომელნიც კერძო საკუთრებასაც და კაცთა მდგომარეობის გარჩევასაც სამართლიანად სცნობენ, ან მაინც არა სურთ მათი მოსპობა, მაგრამ რომელიც ეკონომიური ცხოვრების მიმართულებების სავსებით მთავრობას უფლებს ხელში.

რაც შეეხება თვით ტერმინს „სოციალიზ-

მი“, უნდა შევნიშნათ, რომ ჩვენგან ნაჩვენები აზრით ის გაბატონდა არა ერთბაშად, არამედ ნელნელა, თან-და-თან არა მარტო გერმანულს, არამედ ფრანგულს, ინგლისურს, ისპანულს და იტალურს ლიტერატურაში, ნამეტნავად სამეცნიერო ლიტერატურაში... შევნიშნათ კიდევ, რომ უნდა განიზრგოდნენ ტერმინები „სოციალური“ და „სოციალისტური“. სოციალისტური შეიძლება ეწოდოს ყოველსავე, რაც შეეხება სოციალიზმს, სოციალური კიდევ ის, რაც შეეხება საზოგადო ცხოვრებას. ის, ვინც წინააღმდეგია სოციალისტურ მისწრაფებათა, იმავე დროს, შეიძლება იყოს სოციალურ რეფორმათა მომხრედ.

რადგანაც თანამედროვე სოციალიზმი ყველა ქვეყნებში შეიქმნა დემოკრატიულად და სტდილობს ყველას თანასწორობაზე, ამიტომ სიტყვები „სოციალიზმი“ და „სოციალდემოკრატია“ შეიძლება ერთმნიშვნელოვანებად ჩავთვალოთ.

ნატარყანელი.



ილია ჭავჭავაძე, *)

როგორც აღნიშნულია პოეტა.

(27 ღვინობ, 1837—30 აგვ. 1907 წ.)

„ნეტა, ვინე კარგის საქმით აღნიშნავს თავის დროსა, ის იქვე ეწაფება უკვდავების წყაროსა!...“

ილია ჭავჭავაძე.

ამ მხრივ ქრ. მამაცაშვილი ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც უკიდურესი დამცველი იყო ყმების გათავისუფლების მიზანათ.

„ერთ კრებაზე წამოდგა ახალგაზდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ხმა მალდა განაცხადა, რომ გლეხებს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კად-

*) იხ. „ზინ. საქ.“ № 1.

ნიერმა აზრმა იაშფოთა. ერთმა თავადმა იშიშველა ხანჯალი და ლანძღვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვიტ, გამიშვიტ! ეხლავე უნდა მოვკლაო.“ გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს-ძლივობით გაიყვანეს კრებიდან.

მეორე კრებაზე ყმების გათავისუფლების (მიწიანად) წინააღმდეგ ილაპარაკა გენ. ლეიტ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანელმა, მან განაცხადა, რომ უმიწოთ ყმები, გათავისუფლებას მთელი თავად-აზნაურობა მიემხრობაო, მიწიანათ კი— მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს მხარში ხელი სტაცა, მოაბრუნა თავისკენ და კითხა: „ვინ არიან ეგ კაცუნები?“ ბაგრატიონ მუხრანელმა მიუგო, რომ ის შესკდა და „რამდენიმე კაცუნას“ მაგიერ უნდა ეთქვა „რამდენიმე კაკი“... ქრისტეფორე მამაცაშვილი თვის წერილს ასე ათავებს:

„ილია გრიგოლის ძე თვის მოღვაწეობის დასაწყისშივე ძლივს გადაარჩა სიკვდილს გლეხთა ინტერესების დაცვის გამო და შემდეგშიაც არას დროს არ უღალატნია თვისი რწმენისათვის. განსვენებული მგოსანი მუდმივი მომხრე იყო წოდებრივ გათანასწოებისა.“

რუსეთის მაშინდელი საუკეთესო ჟურნალიც „Современник“-ი და მისი შესანიშნავი ეკონომისტი ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომელსაც ჩვენი სტუდენტი ილია დაახლოვებით იცნობდა, როგორც ეს ჩემთვისა და ნიკო ხაზანიშვილისთვის უთქვამს, იმას ქადაგებდა, რომ ყმა მიწიანათ უნდა გათავისუფლდესო. ჩვენი ილიაც ამ აზრს ემსახურებოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

როგორც ხედავთ, 60-იანი წლების ერთი საუკეთესო ქართველი ლიბერალი, ნ. ჩერნიშევსკის თანახმად, ერთი გულ-მხურვალე და უანგარო მოტრფიალე იყო მშრომელი მესაკუთრეებისა, მარტო ამ მესაკუთრეთა კეთილდღეობის და ინტერესებისათვის ყოფდა უარს შრომის, აგრე წოდებულს, ბურჟუაზულ-ეკონომიურს გათავისუფლებას. ამ მხრივ ევროპის გამოჩენილ ლიბერალთა შეხედულებისგან სრულიად განსხვავდებოდა ილია ჭავჭავაძის ეკონომიური შეხედულება... ჩვენში ყმების გათა-

ვისუფლებების შემდეგ დაიწყო ახალი ცხოვრება, რომელიც თხოულობდა ახალს წარმომადგენლებს შრომისასაც და ახალი აღებ-მიცემობისასაც, ახალი ბურჟუაზიისასაც. ილია ქავჭავაძე დაადგა სოფელელთა შრომის ინტერესების სამსახურს და თვალი აარიდა ახალ აღებ-მიცემობის განმტკიცების საქმეს ჩვენში. ფილოსოფიურად რომ განვსაჯოთ ნ. ჩერნიშევსკისა და ილია ქავჭავაძის შეხედულება ამ მხრივ დიდი შეცდომა იყო, მაგრამ იმ დროს ეს ორი დიდი ფაქტორი—შრომა და კაპიტალი რუსეთსა და ჩვენში თავიანთ საისტორიო კუთვნილს ასპარეზზე არ დამდგარიყო და არ განცალკევებულიყო მთელს თვისის სიღრმე-სიგანით და შინაარსით. ამიტომაც ახალგაზდა ლიბერალების, ნ. ჩერნიშევსკისა და ილია ქავჭავაძის ქადაგება იყო წარმატადი, და აქი ამ მოძღვრებამ წარიტაცა რუსეთში მთელი ინტელიგენცია „ნაროდნიკებისა“ და ჩვენში მთელი თაობა „ტეტიათა მოტრფიალეთა“.

სამაგიეროდ, ჩვენში გამოჩენილი ლიბერალი ილია ქავჭავაძე შურით შეყურებდა საკონსტიტუციო და საპარლამენტო ასპარეზს ევროპაში და ყოველთვის აღტაცებით იხსენიებდა პოლიტიკურს, საზოგადოებრივს თავისუფლებას. იმ დროს ეს შესანიშნავი კაცი და მისი ამხანაგები იყვნენ ერის ქუა-გონების წარმომადგენელნი ჩვენში და, როგორც გონებით მშრომელ კაცთ, ამათ ეპატირობოდათ აუცილებლად ისეთი ნიადაგი, სადაც დაცული უნდა ყოფილიყო ამ შრომის თავისუფლად ტრიალი და ვითარება. თუ პოლიტიკური თავისუფლება დაცული არ იქნებოდა, აუცილია ქავჭავაძის გონებით შრომის, ლიტერატურულ მუშაობას დაეყრებოდა ხერი და აზრი კაცისა შეიხუტებოდა...

ყოფი ადამიანის და საერთოდ ერის თავისუფლების პრინციპის დიდს სამსახურს ილია ქავჭავაძის გულ მკერდით ძლიერად აღვიძებდა კიდევ ერთი დიდი და შესანიშნავი გარემოება, შე მოგახსენებთ იტალიის გათავისუფლების საქმეს. იმ დროს ორი შესანიშნავი იტალიელი—გაობაპოლის და მამინის სახელი მთელს ევროპაში ქუხდა და იმათი სამშობლო იტალია

თავისუფლების გვირგვინს იდგამდა — თავზე. იტალიის გათავისუფლების საქმემ სული შთაბერა პოლონეთის საუკეთესო მამულიშვილებს და ჩვენს ილიას, როგორც ქვევითაც დავინახავთ, ძლიერად აუზღელვარა გული თვისი მშობელი ერის გათავისუფლების საქმემ.

ამგვარად, ილია ქავჭავაძის მთელს ლიტერატურულ მოღვაწეობას ორი დიდი საგანი ასულდგმულვდა: ბატონ-ყმობის მოსპობის სურვილი და საქართველოს შვილთა პოლიტიკურად გათავისუფლების საქმე.

თუ სათვალავში არ ჩავადებთ ეკონომიური ვითარების შესახებ იმ ლოლიკურს წიადმდგობას და დაუკვირვებლობას, რომელიც უნებურად მოუვიდა მაშინდელს ჩვენს მოღვაწეს, ილია ქავჭავაძეს, ჩვენ დავინახავთ, რომ იგი ცხოვრებაში გამოსვლისათანავე აწყვა ახალს, ფეხ-ადგმულს ქართველთ ცხოვრებას, მასშიგ ღრმად ჩაიხედა და თან-და-თან ნაყოფიერი შრომით შექმნა მთელი შკოლა ახალი ბელეტრისტებისა, დაწერა საინტერესო ლექსებიც, თვისი პუბლიცისტური ნაწერებით ჩვენს ქვეყანას მოჰფინა ნათელი და პატიოსანი აზრები, საძირკველი ჩაუყარა მოწიფულ ლიტერატურის შექმნის საქმეს, და დასახა პროგრამა სამოქალაქო დედა აზრებისა და მოღვაწეობის.

ამ რიგად მე XIX საუკუნის ქართულს ლიტერატურაში ერთი დიდი ადგილი უქირავს, მიუცილებლად, ილია ქავჭავაძეს, რომლის ხელსამძღვანელო, საზოგადო პოლიტიკური აზრების გარკვევის უკავია მთელი ერთი წერილი ჩვენი (ქართული ლიტერატურის მდგომარეობა, ერთი მგორე, როდესაც ვეხები 60-იან წლების მოღვაწეთა აზრების გარკვევას. იხ. „კვალი“ № 17, 18 წ. წ.). ვითარცა ბელეტრისტი, ილია ქავჭავაძე საზოგადოდ დახასიათებული გვეყავს მგორე სტატიაში: „ქართველი გლეხის შვილი“. ახლა, აქ განზრახვა გვაქვს ვანიხილოთ ილია ქავჭავაძის მოღვაწეობა, როგორც ლირიკოსი პოეტის.

ილია ქავჭავაძე დაიბადა კახეთში, გაღმა მხარის ერთს დიდ სოფელ ყვარელში 1837 წ.

27 ღვინობისთვის. მამა იმისი *) გრიგოლ პაატას ძე თურმე იყო კაცი ოხუნჯი, კვიმატი და მკირცხლი გონების პატრონი. დიდი შეძლების მექონი თავადიშვილი მაინდა-მაინც არა ყოფილა და ამიტომაც უფრო დამოყვრებია სომეხს. დედა ილიასი იყო ქალაქელ სომხის მებურიშვილის (!) ქალი. შესანიშნავია ეს გარემოება იმით, რომ სომეხებს ჩვენში ამ შემთხვევით თავი მოქონდათ. მართლაც აღმოსავლეთის საქართველოს თავადთაგანი: ილია ქავჭავაძე, პროფესორი თარხნიშვილი, ვანო მაჩაბელი, დავით ერისთავი სომხის სახლის შვილები იყვნენ...

წერა-კითხვა, ლოცვები და საღმრთო ისტორია ოჯახში ისწავლა. ოჯახშივე ასწავლეს ილიას „ვეფხისტყაოსანი“, რასაც ბევრჯელ სიამოვნებით მოიგონებდა ხოლმე პოეტი. შემდეგ ილია მიუბარებიათ ტფილისის დღევანდელ პირველ გიმნაზიაში, სადაც კურსი დაამთავრა და პეტერბურგს გაემგზავრა უნივერსიტეტში შესასვლელად.

ილია ქავჭავაძე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ კურსი არ დაუსრულებია და 1861 წ. საქართველოში დაბრუნდა. ამ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტი რუსეთის მთავრობამ დახურა, ილიაც სტუდენტების არეულობისა გამო გამოირიცხა და საუკეთესო პროფესორებიც, როგორიც იყვნენ: პიპინი, სტასიულევიჩი, კასტამაროვი, კველინი და სპასოვიჩი, დაითხოვა. ეს დრო შესანიშნავი დრო იყო რუსეთში. ყირიმის ომმა დიდი ნაყოფიერი ზედმოქმედება იქონია რუსეთზე. ომის შემდეგ გამოფხიზლებულმა რუსეთმა აშკარად დაინახა, რომ ძველებურს ცხოვრებას ბოლო უნდა მოედებოდა და ცხოვრება მოქალაქეობისა და მრეწველობის გზას უნდა დადგომოდა. ამისათვის საჭირო იყო, რომ ბატონყმობა მოსპობილი-

*) ვიღებ ბიოგრაფიულ ცნობებს ა. ყ. წერილიდან, რომელიც ახალს არაფერს იძლევა და ძალიან მოკლედაც არის შედგენილი. საჭიროა ვრცელი და დეტალური, ამასთანავე ნიჭიერად დაწერილი ბიოგრაფია ილია ქავჭავაძისა, როგორც შეფერება ასეთს შესანიშნავს კაცს.

ყო და ადამიანის პირადობა განთავისუფლებულიყო. ლიტერატურის ახალგაზდა ბელადნი, ნამეტურ ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი, რომელთა გავლენის ქვეშ იზრდებოდა ჩვენი პოეტი ილია, ქუხდენ ქაბუკის სიმამაცითა და თავდაუზოგველი დიდი და პატიოსანი იდეის განსახორციელებლად. ილია ქავჭავაძე ამ შესანიშნავს დროს შეესწრო რუსეთში და მთელი თვისი ძლიერი ნიჭი ჩვენმა ახალგაზდა ქაბუკმა ამ ახალი აზრების შეთვისებას მოანდომა და იგი ამ ახალის იდეებით და ცხოველის გრძნობებით აღტაცებული ჩამოვიდა საქართველოში. ტფილისში ჩამოსვლისთანავე ილიამ ჟურ. „ცისკარში“ დაიწყო მუშაობა და შემდეგ საკუთარი ჟურნალიც „საქართველოს მოამბე“ დააარსა, რომელმაც, უსახსრობისა გამო, იცოცხლა ერთი წელიწადი (1863 წ.). ეს ჟურნალი იყო ჩვენში პირველი ევროპიული ჟურნალი, რომელმაც მის რედაქტორს ერთბაშად გაუთქვა სახელი მთელს მოწინავე ქართველობაში. ჟურნალის დაკეტვის შემდეგ სახელმწიფო სამსახურს მოკიდა ხელი. პირველად ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელედ დაინიშნა და ბატონებსა და ყმებს შორის ატეხილი უთანხმოების გამოკვლევა მიენდო.

1864 წ. აღმოსავლეთ საქართველოში ყმები გაანთავისუფლეს და ილია ქავჭავაძე მომრიგებელ შუაკაცად მიიწვიეს. 1868 წ. სასამართლოს რეფორმა მოხდა და ილია დაწინაურეს დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ. 1875 წ. ტფილისში დაარსდა სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკი და საზოგადოების თხოვნით მან იკისრა ამ ბანკის თავმჯდომარეობა. და ამ თანამდებობაზე დარჩა ილია ოცდაათი წელიწადი 1905 წლამდე. 1906 წ. საქართველოს თავადაზნაურთა დელეგატების ჩვენებით და სურვილით ილია არჩეულ იქნა დიდის ხმის უმეტესობით სახელმწიფო საბჭოს წევრათ. სახელმწიფო საბჭოში ჩვენი მოხუცი ილია მაშინვე შემარცხნეთა ჯგუფში ჩადგა, რომელიც, თურმე, რვა კაცისგან შედგებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ილიას სიკვდილს შემდეგ, სახელმწიფო საბჭოს წევრად ქართველ თავადაზნა-


ურთა წარმომადგენელი აღარ აირჩიეს. „რუს. ვედომ.“ ამის შესახებ შემდეგ წერდა: „ამომრჩეველმა თავად აზნაურებმა უარი თქვეს ქართველის არჩევასზე იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძემ არ გაამართლა იმათი მოლოდინი და მემარცხენეებთან ერთად ხმა მისცა მან სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ“

ილიას მე კარვად ვიცნობდი. ეს იყო შესანიშნავს ნიჭის, ფხიზელი და ძლიერ დინჯი კკუის პატრონი ქართველი, კახურ კილოზე მომხიბლველი მოსაუბრე, ფრიად შესანიშნავი ორატორი, რომელიც ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებებზე უცხო ერების წარმომადგენელ იურისტებს, მკურნალებს და ინტელიგენტებსაც იზიდავდა საყურებლად, რომ მოესმინათ იმისი შესანიშნავი სიტყვები, ზოგჯერ მთლად მოხეთქილ ნიაღვარსავით მქუხარე და ძლიერი, ზოგჯერ კი ტკბილად მოსაუბრე და დამყვავებელი. ილია სახითაც განსხვავებული, შესანიშნავი იყო, ირაკლი II-ისა არ იყვეს, ილიაც შუა ტანადობაზე ცოტა დაბალი ტანისა იყო, ენერგიით აღსავსე სახის, შესანიშნავი ნიჭის გამომხატველი შავი თვალები, უნებურად იზიდავდა საზოგადოებას ამ საოცარი კაცისკენ და ერთიანად უმოოჩილებდნენ მას. კრებებზე ყველა მას მისჩერებოდა, ყველა მას უყვირდებოდა, და ყველასაც იმორჩილებდა იმისი მეტყველი ენა და შესანიშნავი ერუდიცია. ამასთანავე, ეს კაცი იყო ფრიად უბრალო, სტუდენტური თავმჯდომეობის, წიგნებით გატაცებული, ყველასი მოსიყვარულე და თავდაბალი, სტუმართ მოყვარე, პურმარილის კაცი. სამწუხაროდ, ქართველური ბედოვლათობა ამასაც ქონდა თან დაყოლილი. შედარებით კი გამაგირი ეძლეოდა, უშვილო კაციც იყო, ჩვენში შეცდომით მდიდარი კაცის სახელიც ქონდა გავარდნილი, მაგრამ ნამდვილად კი, რომ ბანკის თავმჯდომარედ არ აერჩიათ, ერთ წელიწადსაც თავს ვერ ირჩენდა... როგორც გამიგონია, ეს თვის კარგს ნაცნობებში კნენია ოლგა თადეოზის ასულს კიდევაც ეთქვა ერთხელ.

1879 წელს საქართველოში დაარსდა წერაკითხვის საზოგადოება. მას აქეთ ამ საზო-

გადოების თავმჯდომარედ სულ ილია იყო და აგრეთვე რედაქტორი „ივერიისა“, რომელიც 1877 წ. ომიანობის დროს დააარსა და გაზეთათ გამოდიოდა, მერე 1879 წ. თვითერეკუნად და „დროების“ სამუდამოდ მთავრობის მიერ დახურვის შემდეგ, 1886 წ. დღიურ გაზეთად გადაკეთდა. „საქართველოს მოამბის“ და „ივერიის“ ბეჭდვით ილიამ შეიტანა და განამტკიცა ახალი წყარო სალიტერატურო ენაში—ეს იყო კახური კილო.

ზომილი.



„შინაური საქმეების“ მუშაობაზე.

ჩვენ კარვად გვესმის, რომ ჩვენ გამოცემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამშობლო ზრესაში. იგი არ არის არც „ჯოჯოხეთი“ თავის მასწრულ მსოფლმხედველობით, კოსმპოლიტურ-სოციალისტურ-ლბათებით, თავის კუდიან ემძაკების კლიშეებით და თავის რქებიანკუდეებიან რედაქტორ-თანამშრომლებით, რომლებსაც ასე იაფად უჯდებათ თავისი მოღვაწეობა; არც სხვა „კრატელი“ გამოცემები, რომლების მისწრაფება ისაა, რომ, რაც შეიძლება ძაღე, ძაღე ამომალონ ხალხის თვითცნობიერობიდგან ეროვნული და ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი იდეალები და მათ მაგიერ შეასისხლსორცონ ურულ-გაჭრული, ზირუტეულ-ხნეობრივი სწავლა-მოდერნება უფ. მარქსისა და ამხნაგობისა; რომლებსაც უნდათ, რომ ძოელი ქვეუან ერთ ქარხანად გადააქციონ და ადამიანი მომუშავე მანქანად, ე. ი. მოსპონ ზიროვნება, თვითმოქმედება და ამით სასღვარი დასდვან კაცობრიობის განვითარებას; რომლებსაც თავის ვიწრო მხედველობის ძეოჩებით ჰკონიათ, რომ დღესვე შესაძლებელია განსორციელდეს

ის ქვეყნიური სამოთხე, რომელსაც სოციალიზმს ეძახიან, მხოლოდ საჭიროა მათ რედაქტორ-თანამშრომლებს სრული უფლება ჰქონდეთ ლანძღვისა, ცინებისა, ერთი კლასის მეორესე გადაკიდებისა, მამა-შვილისა და მესობლებ შუა შურისა და მტრობის თესვისა, ეკლესიების სათხებოდ გადაქვეყნისა, ძღვედლების გაქვეყნებისა, განადგურებისა, სახინების გლეჯა-ფლანგვისა, ხალხის დახარკვა-დაბეგრებისა (ეს ცოდვა არ არის, თუ ბეგარა მათ ხმარდება და არა ძღვედლებს, რომლებიც ხალხს არ ესაჭიროება) და სხვა ამისთანებისა, რომლებიც მათის ფიქრით ხელს შეუწყობენ და ძრიელ მოასწრაფებენ სასურველ ქვეყნიურ სამოთხეს, სადაც კაცი ორ საათს იმუშავეს და ოცდაორ საათს ინებებინებს მშვენიერ საქსთა შორის, რომელიც ამ დროს წარმოადგენს ერთ ვეებერთელა ჭარბს, მხოლოდ ამ განსხვავებით, რომ ამ ჭარბსანაში გამეფებული იქნება თავისუფალი სიუვარული.

ჩვენ გამოცემას არ მოსწონს ეს ცრუ იდეალები, არ სწამს მათი განხორციელება არა თუ თანამედროვე ცხოვრებაში, არამედ შორეულ მომავალშიც კი; სოციალიზმი არ მიანია მას საკაცობრიო იდეალებს, მისი შესჯდულობით იგი არის ნამაღადვე ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ხელთახუნად შეძული იდეალი სოციალურ კადრებზე მკაცრიერთაგან, რომლებმაც დაჭრეს ეოველგვარი გრძობიერობა სხეობრივი სიმაღლისადმი, ურჭყვეს თავის დუთაქრობა, აღიარეს მ იმუნი თავის დირსეულ მძად და თავის ცხოვრების მასხად კუჭი დასახეს და მთელი კაცობრიობა ამ მომწველებელ ქარხნის მუძად განადგეს, არ სწამს სოციალიზმს,

როგორც საზოგადოების მომავალი წესობილება და, სახარების უევედაუ ჭკმძარიტებათა და იდეათა შედარებით, არც სასურველად მიანია მისი განხორციელება. მით უფრო სასაცილოდ მიანია ჩვენი შინგანდილი კომუნისტ-სოციალისტების მოუძწიფებელი და ხანმო-უთვეელი მსჯელობა ამ ს განსე და სახარებასე, და მის დრო-მოჭმულ სარწმუნოებასე. ამ თავის არ რწმენას გამოცემა უშიძრად აღიარებს და უტყუარ საიუთებით ამტკიცებს, მიუსედავად მოდურ იდეალების აღმსარებელ „ჯოჯოხეთის“ დემონიურ, მაგრამ უძლურ, სათხათისა. მასხარობა, ლათაიები, დემონიური სათხათი კი არა მოფიქრებული, გონივრული, დალაგებული და დ მჯადარი, ბრძნული მსჯელობაა საჭირო, რომ გაგამართლოთ ესა თუ ის მიძართულება, ესა თუ ის მისწრაფება. ბანსე სიტყვების გღება და ნახტომი არ შეფერის მოღვეწეს, რომელიც ჭქმნის მომავალს, რომელიც უმსადებს კაცობრიობას სასუფეველს. ასეთი საქციელი მხოლოდ იდეალებით თამაშია, იდეალებით ვაჭრობა, ვ ჭრობა, თუძცა მოძგებიანი, მაგრამ მწარე თავის შედეგებით. ჩვენ გამოცემას ვაჭრული ან გარიძით არ დაუწვია არსებობა; რომ ასე ეოფილიეო „ჯოჯოხეთი“ ვით მო. ურ იდეალების დრომას ააფრიანლე და, რომლის ქვეშ შევრება ეოველგვარ კუდი ნ და უკულო რქინ და ურქო თანამშრომლო ს და სხვეთან ერთად თითონ ცდე-მონიურ ხ თათს მართაედა და სხვასაც აახათსაიედა.

დ მაინც ეოველიეო ნაწარმოების ნაკლებეუ ნების ბეჭედი ახის; თუძცა ამას ბეჭეტი არ გრძობს, მაგრამ ჩვენ სავსე ით აღვიარებთ და, ვინც ჩვენ გამოცემას

თვალს ადევნებს, ეველას მოწილად ესთხოვთ, თუ რამ ნაკლულევენება გვინახოს, აწსებითად გვინახუნოს.

კინკილეული.

„არა იცით წერილისა და სტომიტი.“

(შენიშვნები წიგნაკზე „ახალი ქადაგება“).

ხალხის მხოლოდ სამკვეყნო ბედნიერებისათვის მებრძოლ ბელადებს, ერთი უმთავრესი ნაკლულევენება ემზნევათ: ვერ ხელდვენ ცხოვრების ქალაქში ფარულ მთხრებლს და მხოლოდ ზედაპირის სისწორეზე მუსიკობენ სანეტაროდ მცხოვრებთა. ეს მთხრებელი არის ადამიანის ბოროტ ზნე-ჩვეულებათა უყურადღებობა, რომელზედაც დამოკიდებულია ყოველთა ვარგანი მოძრაობა. დამვიწყებელნი და უყურადღებოდ დამტოვებელნი ამ ძირითად მიზეზისა, ამყობენ ქვეყნის გასამოთხეზაზე, გაზვიარებულ „ერთობა-ძმობა-სიყვარულის“ ცარიელ სიტყვების ბუკის ცემით. ადამიანი, რომელსაც შესწევს განათლება და იღებს კალამს ამა თუ იმ საგანზე, ან თხზავს თვითონ, ან ეხება ვისიმე ნაწარმოებს კრიტიკულად, მან უნდა ყოველ მხრივ შემოიფარგლოს წინააღმდეგობისა და გაიგოს ჯერ პირველად წინ-მდებარე საგნის სრული არსებითი ზნე-სახე, ნაყოფიერი სარგებლობა, მავნე თვისებები და შემდეგ უნდა ესმოდეს სხვისი და თავისი სიტყვების აზრი, სიმართლე, უპირად-სურვილობა. აი შევნიშნა მწერლობისა, რომელსაც ვხედავთ, თუმცა იშვიათად, დიდებულ მწერლების ნაწარმოებში. ასეთი მწერლობითი სიდიადის შეუგნებელი და სახარების ნათლას სიღრმეთა არამხედი ვინმე ავტორის წიგნაკი „ახალი ქადაგება“ გამოვიდა ამ ეამად ქართულად თარგმნილი ვინმე მარტყოფელისა. ეს წიგნაკი ცხადად მოწმობს, თუ როგორი მრუდე წარმოდგენა აქვს მრავალს ქრისტიანულს სწავლაზე და როგორი გონებრივი საუნჯით გამოდიან დღეს ასპარეზზე ცხოვრების ზოგი „ახალ-მასწავლებლები“. უმრავლესობა

მათი, რომელნიც გონიერებისა და მეცნიერების სახელით დასცინიან სარწმუნოებას და ქრისტიანობრივს სწავლას, არც კი იცნობს საკმაოდ ქრისტიანობას და მეცნიერებას, ბევრს შეხედებით, რომელნიც ბიბლიას ზღაპარს უწოდებს და არც კი გადუშლია იგი. ტყუილად კი არ ამბობს ფილოსოფოსი: მეცნიერება ღმერთთან გვაახლოვებს და უშეცრება კი მისგან გვაშორებსო. ეს რომ ასეა, ადვილად დარწმუნდობა ყველა გონებით მრთული და მახვილი ადამიანი, ვინც კი გადახედავს ცხოვრებას. დასახელებულ წიგნის „ახალი ქადაგების“ ავტორი ილაშქრებს სახარების „ცხრა ნეტარების“ წინააღმდეგ.

„უბედურ არიან, გლახაკნი სულითა რამეთუ ურიგდებიან თავიანთ სილატაკეს, ან ხმას არ იღებენ უსამართლობის წინააღმდეგ, — დაღდებს „ახალი მქადაგებელი“, — ნეტარ არიან უკმაყოფილონი თვით სულიერ და ხორციელ სილატაკისა, რომელნიც აღშუოთდენ თავიანთ უვიცობისა და დამცირების წინააღმდეგ, რამეთუ ამისთანები დაიმკვიდრებენ სასუფეველს დედამიწაზე.

ეს სიტყვები მიმართულია ცხრა ნეტარების პირველ მუხლის წინააღმდეგ, მაგრამ გავარჩიოთ მსჯელობის საყდარში, ხედება თუ არა ეს სიტყვები მიზანს და ესმის თუ არა ავტორს აზრი იმ სიტყვებისა, რომლის წინააღმდეგ მიდის.

„ნეტარ არიან, ამბობს ჩვენი ღვთაებრივი მასწავლებელი, გლახაკნი სულითა რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“. ვინ არის სულით გლახაკი? „ახალი ქადაგების“ ავტორს ჰგონია, რომ სულით გლახაკი არის ისეთი ადამიანი, რომელიც შეურიდდა თავის სულიერს სილატაკეს, უვიცობას, უსამართლობას, ერთი სიტყვით გლახაკია, არაფრის მქონეა სულითაც და ხორციითაც. ასე სულელი გაიგებს იესოს სიტყვებს. სიტყვა გლახაკი სულითა ნათლად მოწმობს, რომ აქ „გლახაკი“ არ არის ნახშირი ხორციელ სილატაკის აზრით. აგრეთვე გლახაკი სულითა არ ნიშნავს ყოველივე სიკეთისგან ცარიელ და უვიცობა — უსამართლობასთან შერიგებულ ადამიანს. თუ

იესო ქრისტეს სიტყვები გავიგეთ ისე, როგორც ეს ესმის „ახალ ქადაგების“ ავტორს, ე. ი. ბოროტებასთან—უსამართლობასთან შერიგების აზრით, მაშ როგორ არის, რომ შემდეგ მუხლებში იესო ნეტარად ჰხადის წმინდათა გულით, დევნილთ სიმართლისათვის? ნუ თუ შეიძლება გულით წმინდა ეწოდოს ისეთს ადამიანს, რომელიც ბოროტებას შეურიგდა? საიდან შეიძლება ადამიანი დევნილი იყოს სიმართლისათვის, თუ უსამართლოებას წინ არ აღუდგა? ნუ თუ ამის შემდეგ ნება არ გვაქვს ვსთვათ, რომ „ახალი ქადაგების“ ავტორი მიდის იმის წინააღმდეგ, რაც არ ესმის?

„სიტყვათა, რომელთა გეტყვი თქვენ, ამბობს ქრისტე, სულ არიან.“ სულიერი ძალა, თავისუფლება ქვემდებარეობს ყოველ მის ღვთაებურ სიტყვებში, და ამისთვის სთქვა: „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.“ სულით გლახაკნი იშნავეს სულით მდაბალს. სულით გლახაკია ადამიანი, რომელიც არ ზეაობს თავის ნიჭით, თავის მოქმედებით, არა მაღლობს თავის მოყვასზე. თავის ღრმა ვანხილვა არ აძლევს მას თავის ამაღლების—ზეაობის ნებას, რადგანად დააკვირდება ის თავის თავს, იმდენად უფრო და უფრო იგნებს თუ რა დიდი დანახეთქია მისა და სიკეთის მწიერვალს შორის, თუ რა შორსაა იგი ზნეობრივ სისრულისაგან, და ეს ამდაბლებს მას, აშორებს ამპარტავენებისა და თავის ამაღლებისაგან. ამისთანა ადამიანი არა თუ ურიგდება თავის სულიერ სიღატაკეს, უვიცობას, უსამართლობას, არამედ კიდევაც ამით იწოდება იგი სულით გლახაკად, რომ ყოვლადვე უკმაყოფილოა და შეურიგებელ თავის სიგლახაკია წინ; ხედავს თავის შორის ბიწიერებას, უსამართლო თავმოყვარეობას და სხვა ბოროტებას და ასეთი საძაგელ თავისებებით სავსე ცნობს სულიერ სიღატაკეს ქრისტიანობის წინ და ი დაბლებს თავს, იმდაბლებს არა ი აზრით, რომ ურიგდებოდეს ბოროტებას, როგორც ეს ესმის „ახალ-ქადაგების“ ავტორს. არა, სულით გლახაკთ ღრმად შეიგნეს,

რომ ზეციერი ნათელი, სიმართლე, ქრისტიანობა მათ შორის დათრგუნვილია, რომლისათვის ემდურიან და კიდევ ებრძვიან თავიანთ თავს, საზოგადოდ ბოროტებას სადაც უნდა იყოს იგი. სულით გლახაკი ხმას რომ არ იღებდეს უსამართლოების წინ, არც კი იწოდებოდა სულით გლახაკად, არამედ ერთად თავის ათასგვარ შინაგან სიბოროტისა ღუმილის სამარეში კმაყოფილებით დაიძინებდა. აიღეთ წმიდანების ცხოვრება. სულით გლახაკნი, მდაბალნი, იგინი ებრძოდნენ ბოროტებას, სადაც კი ხედავდნენ მას, თავის შორის თუ სხვა ადამიანებში, არავითარი შიში და ძალა ქვეყნის ძლიერთა არ აშინებდა მათ ამ ბრძოლაში. დედამიწა, მათი სისხლით მორწყული, მოწმობს ამას. სახარების სულით გლახაკნი, კი არ გარბოდნენ ძლიერთა შიშით ქურციკივით მთა-გორებში და უცხო ქვეყნებში, როგორც დღეს ვხედავთ „ახალ-ქადაგების“ მიმდევართა შორის, ისინი წინააღმდეგობდნენ ბოროტებას შეუღრეკელის გულით. უძლიერესად და უკეთილშობილესად მასში ქუხდა ხმა ბოროტების წინააღმდეგ! ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, მდაბალნი, რომელთა მოიშორეს ამპარტავენება, რადგანაც ამპარტავენება დედაა წინსვლის შეჩერებისა და მარადის შფოთვისა და შფოთი კი ტანჯვისა დედამიწაზე. უბედურნი არიან ვინც დედამიწაზე აბყარბენ ბედნიერებას, რადგანაც დედამიწა წარმავალია და თან წაიღებს მათს სასუფეველსაც!

(შემდეგი იქნება.)

ალექსი ბერი.



პირველი ფრცხელი ბიბლიისა.

მცენარეები.

(პროფ. ბეტკისისა)

(გაგრძელება*)

და სოქვა ღმერთმან: აღმოაცენენ ქვეყნამან მწვანილი თივ სა, მთესველი თესლისა ნათესაობისაებრ და მზგავსებისა, და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნაყოფისა, რომლისა თესლი მისი მისთანა მზგავსებისაებრ ქვეყანასა ზედა, და იქმნა ვგრეთ. და გამოიღო ქვეყანამან მწვანილი თივისა მთესველი თესლსა ნათესაობისაებრ და მზგავსებისა და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნაყოფისა, რომლისა თესლი მისი მისთანა ნათესაობისაებრ ქვეყანასა ზედა, და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად ღლე მესამე.

დიდებული იყო სასწაული ნათლის, ჰაერის და ხმელის შექმნისა, მაგრამ აქ ვხედავთ უაღრეს რამეს, სახელდობ: სიცოცხლის გამოჩინებას — სასწაულთა სასწაულს.

რა არის მცენარე? განა სასწაულებრივი არ არის, რომ აქ მილიონი უსულლო ნაწილაკნი თიხისგან აღებულ ნივთიერებისა უხილავის ძალის მიერ იძულებიან ერთად შეადგინონ საკვირველი ცოცხალი სხეული, რომელიც ჰაშს, სვამს, სუნთქავს, იზრდება, ბადავს შთამომავლობას, ბერდება, უძღურდება და ბოლოს კვდება. გასაოცარია ღვთის ამ ქმნილებათა სხვა-და-სხვაობაც! ჩვენ ვიცით ასი ათასამდე მცენარეთა გვარი, თითოეული აგრეთვე თავისი განყოფილებებით; მაგრამ ჯერ კიდევ დაახლოვებითაც ვერ ვიცნობთ ყველაფერს, რაც კი სცენდება უდაბნოებში მათათა მალალ მწვერვალებზე, და რაც დაფარულია ჩვენგან ოკეანთა ძირს; ვერ ვიცნობთ აგრეთვე ათასობით მიკროსკოპიულ მცენარეებს, რომლებიც იქცევა ტბორეთა მღვრივე, ლორწოიან წვეთებში. როგორი განსხვავებაა დიდსა და პა-

ტარას შორის! აი პაწია—მხოლოდ გამაღიდე-ბელ სარკით დასანახი მცენარე, ესრეთ წოდებული დიატომეა. მთის წყაროს ერთს ულაპში ულაპავთ ამ პაწია მცენარეებსაც ათასობით... გვერდზედ კი ლამაზად დგანან ასწლოვანი ბუმბერაზნი მცენარეთა სამეფოისა. მოყვანილი კარდილიერის ფინიკი ორასი ფუტის სიმაღლისა მიმოარხვეს ქარზე თავის საუცხოვო ფოთლებს მრავალ ჩვენ სამრეკლოებზე უფრო მაღალ სივრცეში; პურის ვეებერთელა ხე დასავლეთ აფრიკაში, რომლის ღეროს 36 ფუტი სისქე აქვს. ამ მცენარის უჯრედებში ერთმა ფრანგმა მოგზაურმა (ადანსონმა) აღრიცხა 4000 წლიური გრგოლები და მაშასადამე იგი (ეს მცენარე) უნდა ყოფილიყო აღმოცენებული აბრაამის დროსვე. ვებერთელა მამონტის ხე (ველინგტონია), რომლის ცალკეები 300—400 ფუტის სიმაღლემდე აღწევენ; იზრდება კალიფორნიაში; მისი ღერი სიმაღლითა და სისქით უზარმაზარ კოშკს წაგავს. მაგრამ მცენარეთა შორის ყველაზე უგრძესი—ეს უშველებელი წყლის-მცენარეა, რომელსაც ფესვიბი ოტლანტიკოს ოკეანის ძირს უდგას, 1000 ფუტზე მეტ სიღრმეზე, ტოტები კი ზედ ტალღებზე ქანაობს. ამ მცენარისგან შემდგარ წყლის ქვეშეთ დიდრონ ტყეთა ტევრში ნაცვლად ფრინველთა და ქურციკთა ბუდობენ ნათელ-თევზნი, ზღვის ღორები და სხვა ცხოველები ზღვისა.

არა ნაკლებ საკვირველია სხვადასხვაობა ნიადაგის და ჰაერისა, რომელშიაც მცენარენი ჰხარობენ. სახარის გახურებულ ქვიშაზე, მზის სხივებ ქვეშ, რომლებსაც ვერ უძღვებ ადაჰიანი, თუ თავი არ დაიფარა მათგან,—ჰხარობს ფინიკი და ირწყვება მიწის-ქვეშეთი წყაროებით, „ვინაილგან“, ამბობს არაბი, „მას (ფინიკს) სურს ქონდეს ფეხები წყალში და თავი ალში“. ჩრდილოეთ პოლუსის სიახლოვეს, სადაც ყინული მთელის თევობით აღისწი და მეტსაც, სადაც ღვინო და თითქმის არაყი იყინება, სადაც ყინული ფოლადივით მაგარია, ფოლადი კი კიქასავით ფხვნილი,—იქ წინააღმდეგ საშინელ სიცივისა ხანგრძლივ პოლუსის-კერძო ღამისა, კიდევ იზოვება ნაზი მცენარეები; როცა

*) იხ. „შინ. საქ.“ № 30. 1908 წ.

დიდი ხნით ჩასვლის შემდეგ მკრთალი მზე კვლავ გამოანათებს, დაიწყებენ ზრდასა და აყვავებას კლდეთა ნაპარლებში რაოდენიმე გოჯის სიღრმე თხელ ნიადაგზე, თოვლსგან რწყული, — ნაზი ხაესები, ლამაზი ყვავილები და დედამიწაზე ყველაზე პატარა ხე—პოლუსის ტირიფი, რომელსაც ერთი ცილა სიმალლე აქვს კალმის ტარის სისქე ღერი. ზანსაცდელსა და ნაკულეფანებებში გამოწრთობილი მებღვაურები, რომლებიც ბედმა შეაგდო ამ დაღვრემილ უდაბნოებში, ლმობიერებით მოგვითხრობენ ამ მცენარეთა შესახებ, რომელნიც იქაც—საუკუნო სიცივის მხარესაც—მოწობენ შემოქმედის უსაზღვრო სიყვარულს. მაგრამ ნამდვილი სასწაული მცენარეში, რომელიც არს „მყოფელი ნაყოფისა, რომლისა თესლი მისა მისთანა მზგავებისაებრ ქვეყანასა ზედა“, ეს იმისი თესლია. ქეშპარიტად დიდი სასწაულია! პატარა მარცვალს, შენ რომ ორ თით შუა გიჭირავს, აქვს ძალა გამოიღოს სრული მცენარე თავის გვარისა ფესვიანად, ღერიანად, ფოთლებიანად, ყვავილებიანად, — მცენარე, რომელიც ხელახლა გამოიღებს ახალ თესლს და ასე ქვეყნის დასასრულამდე.

განვიზრათ მცირედ, რავგარს რიცხვითს ოდნობას წარმოადგებს ეს. ერთ ხაშხაშის თესლიდან შესაძლებელია აღმოცენდეს ყვავილი, რომელიც 30 ათას მარცვალს გამოიღებს; თითოეული ამ უკანასკნელთაგანი გამოიღებს იმდენსავე, რაც მეორე ნათესაობაში შეადგენს 900 მილიონ ხაშხაშის მცენარეს. გამოანგარიშებულია, თითოეული მარცვალი, რომ აღმოცენდებოდეს, ერთი მარცვლის ბთამოძავლობა ხუთი წლის განმავლობაში და დამიწას სულ მთლად მოფენდა. ამგვარადვე პროფესორ კუსენმა ენევეში გამოანგარიშა, რომ ხობლის ერთი მარცვალი ას მარცვალს გამოიღებდეს, როგორათაც არის ეს იოიაში. პალესტინაში, სიცილიაში, მაშინ ათი წლის განმავლობაში ამ ერთი მარცვლისგან წარმომდგარი მარცვლები ერთ წელიწადს გამოკვებავდა მთელ კაცობრიობას დედამიწაზე ასეთი ძლიერი აღმოჩინებისა და განწარვლებისა შთახლოდ ღმერთმა მცენარის თესლში შესაძენ დღეს! რომ განვი-

ზრახოთ, თუ როგორი მშობრავი ძალაა საჭირო ყველა უდიდეს და უმცირეს მცენარის ქვემოდან ზე ასადენად, მაშინ რაღაა მასთან შედარებით ყველა ჩვენი მანქანის ძალები, რაც ასე გვაკვირვებს! ამისათვის როცა ზაფხულის ქარი ჩაგივდებს სახელოში ამგვარ ფრთოსან მარცვალს, დააკვირდი მას მოწიწებით: მასში დაფარულია ღვთის ძალი, რომლის წინ არაფერია მთელი კაცობრიული ძლიერება.

რომ გამოვიკვლიოთ შინაგანი შედგენილობა ამგვარ მარცვლისა, ვერაფერს ვნახავთ, გარდა ფქვილის რავდენიმე მარცვლისა. ეს ფქვილის მარცვლები მოთავსებულია პატარა, განმქვირვალე პარკებში, რომლებსაც უჯრედებს ეძახიან, და მეცნიერებმა დანამდვილებით იციან თუ რა ნივთიერებისგან შესდგება მარცვალი. მაგრამ შეუძლიათ თუ არა მათ შექმნან თვითონ თუნდ ერთი პაწია მარცვალი? — არა, იმათ, რომ იშოვონ კიდევაც სწორეთ ის მასალები, რასაც მარცვალი შეიცავს, შეაზავონ იმგვარად თანამეზობლებით, როგორც ეს მარცვალშია და მიღებული ნარევი დიდხანს მიუყენონ მზის სინათლესა და სითბოს და აგრეთვე ელექტრონსაც, მაინც არაფერი აღორძინდება და მცენარე არ გაჩნდება. შენიშნეთ—როგორი საკვირვო ღვთიურა ძალაა დაფარული პაწია მარცვალში და რავდენად შორს უკან სტოვებს ყოველსავე კაცობრიულს ცოდნასა და ხელოვნებას!..

ეს შეუძნევი, საიდუმლო არსება მარცვლისა, რომელსაც ვერ გამოაჩენ ვერავითარ გამადიდებელ სრკით, გარეგანად ასე ფხვნადი და ნაზი, ნამდვილად კი შეუშუსვრელ სიკოცხლის ენერჯის მექონია. მთელის თვეოაით ზოგიერთ ტყის მცენარეთთან თითქმის ორმოც და ათ წლამდი და მეტიც, ამგვარი ბნელი მარცვალი შესაძლებელია იგდოს მკვდარიკით—განურჩევლად გადამტანი ყინვისა და პაჰანაქეიისა, ზაფხულ და ზამთარ ამ 50 ლით განმავლობაში მილიონნი აღამიანთა სკლნი გამოჩნდენ ამ ქვეყნად და წარვიდნ; მსოფლიო იტორიამ თავის ტანჯვიისა და კოდვებით ბევრად წინ წაიწია; უფრო ნაკლებ ხანში აღექსანდნე და ნაპოლეონი ამყარებდენ და

არღვევდნენ სამეფოებს და ცვლიდნენ ქვეყნის სახეს... ამავე დროს მარცვალში წინანდებურად ძინავს ნახს სიცოცხლეს. მიეცით მას შესაფერი ნიადაგი, მზის სითბო და წვიმა და იგი გაიღვიძებს და კვალსაც არ დაიმჩნევს სიბერის უძღურებისას. ამტკიცებენ თითქმის, რომ კელტების მრავალ-საუკუნეიან საფლავებში იპოვეს იონჯისა და შაშპრის თესვები, რომლებიც დათესეს და ისეთი ახალი და ლამაზი ყვავილები გამოიღო, როგორც ახლ თესლისგან ამოსულმა. შევნიშნავთ გაკვრით, სასირცხვოდ ჩვენი დროის მრავალ ქრისტიანსა, რომ ძველ წარმართ-კელტებს ისე ძლიერად სწამდათ სულის უკვადება, რომ ისინი ყოველად ურყევლად ასესხებდნენ ერთმანეთს ფულს ხელწერილით, სადაც მოხსენებული იყო, ფულს სარგებლიანად მომავალ ცხოვრებაში დაგიბრუნებო.

რა დანიშნულება აქვს მცენარეს? რისთვის გააჩინა იგი ღმერთმა? ნამდვილად რომ ვსთქვათ, ეს ყველამ იცის, მაგრამ არ აძლევს თავის თავს შრომას, ჩაუფიქრებს ღვთის ამ დიდებულ ქმნილებას. მცენარე უნდა ასაზრდოვოს ადამიანები და ურიცხვი პირუტყვები. ღმერთმა უბრძანა მას: „ღებულობდე სიცოცხლის ენერჯიას მზისაგან და გამოგქონდეს მიწისა, ქვისა და წყლისაგან საზრდო ყველა ჩემი ადამიანისათვის“. და აი მზის აღერსიან სხივებ ქვეშ, აგრეთვე ქარიშხლის მრისხანებათა ქვეშ, ხე და მცენარე ჩუმად და შეუწყვეტილად გარდააკეთებს მიწას მარცვლად, ზეთად, ღვინოდ, ტბილ ნაყოფებად, წვენიებად, ფესვებისაგან და სხვადასხვა გვარ წამლებად, ამზადებს ყოველ წლივ მრავალ მილიონ ფუთობით ხორბალს, ქვავს, ქერს, ბრინჯს, სიმინდს, ფეტვას, კარტოფილს, ყაფის ცერცვებს და ჩაის ფოთლებს, აგრეთვე მრავალ მილიონ გირვანქა ღვინოსა და არაყს. მერხვევი ღერი პურის მცენარისა, ანუ ბრინჯის ლელწამი ჭაობში, — კვებავს მრავალ ას მილიონ ადამიანს. მაგრამ ეს არ კმარა: ეს საკვირველი მცენარე ქსავს კიდევ ყოველ წლივ რაოდენიმე მილიონად ადლობით ძაფს, ქალაღლისა, სელისა, კანაუისა და მოსავს ადამიანს. რა დიდია და მშვენიერი მოქმედება უსიტყვ

ქმნულებათა!

ღვთისა მიერ მესამე დღეს გაჩენილი უფუძველესი პირველ-ყოფილი მცენარეულობა, თუმცა გამოცვლილის სახით, მაგრამ მაინც დატულია დღესაც. იგია რომ გვიტობს ზამთრობით ოთანს. როგორ? მიწიან და ქვებთან უძველეს დანალექებში დედამიწაზე ინახება განახშირებული უზარმაზარი გროვა მცენარეთა, რომელთაც ცხადად აჩნიათ ღერი და შტოები, ფოთლები და ნაყოფი, და გამადიდებელ სარკეში კი თითქმის უწველილესი უჯრედებიც ხისა; ეს ვებერთელა გროვა მცენარეთა, რომელთა შორის კიდევ არ მოიპოვებოდა არცერთი ძვალი ობხფებისა და არც კაცისა—სხვა არაფერია, გარნა ჩვენი ქვანახშირი, (ეს გარემოება, იმას ამტკიცებს, რომ უფრო რთული ცოცხალი სხეულნი, თანახმად ბიბლიის მოთხრობისა, ჯერ კიდევ არ იყვნენ შექმნულნი).

ცნობილია, რომ ამგვარი ნახშირი იპოვება დედამიწის სხვა და სხვა ალაგს 40 ფუტის სისქე შრეებად. რაოდენად დიდია ეს გროვა იქიდან სჩანს, რომ მარტო ინგლისში ყოველწლიობით 1200 მილიონი (ცენტნერი *) ნახშირი იშოვება და მაინც გამოანგარიშებულია, რომ მარტო ინგლისი შეიცავს ნახშირს კიდევ ხუთას წლისათვის. ჩრდილოეთ ამერიკაში და ჩინეთში, სადაც წვამდენ ქვანახშირს უკვე 2000 წლის წინეთ, აგრეთვე ავსტრალიაში დამარხულია კიდევ განუზომელი რაოდენობა ქვანახშირისა.

ეს ყველაფერი ნეშტია ღვთისგან მესამე დღეს შექმნულ მცენარეთა, დამარხული ლამსა, ქვიშასა და ქვასა ქვეშ, რომელიც წელიად იშვებოდა მიწის შინაგანი სითბოსაგან.

(შემდეგი იქნება)

ონოფრე მწირი.



კასუხად სმრგია ჯინჯველაშვილს

წაკვირდით რა მეორე წერილა თქვენა, მოთავსებული გაზეთ „აღას“ 37 №, რათაც თქვენ

*) ცენტნერი—გერმანიაში სამი და ერთი მეათელი ფუთი.

მიწვევით სამედიცინო სამართალში, შეიძლება დეკემბერს სადგურ მეხანაში მომდარ ინციდენტის გამო, სამომავლოთ რეგულაციები და თანხმად განმტკიცებულ წინადადებაზე; რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიო ამისთანა სასამართლოს, რომელიც დამუშავებულია, არა კანონებს, არამედ სინდისზე, შეუძლია საკისრით და სინამდვილით გამოარკვეოს ნამდვილი ჭეშმარიტება ჩვენ შორის მომდარ ინციდენტის, რომელიც მომდევნო საშუალებას თავი დაკავშირებს ამ უსამართლო და უსინდისებო დილის წამებას, რომელსაც თქვენ განზრახ მასწავლეთ თავზე, რათა მომდევნო მოუშორებელი ჩივილი და მით საზოგადოებაშიდ სათითებლად გამხდარი.

განსახილველად იქნება დასმული შემდეგი კითხვები: 1, იყავით თუ არა თქვენ კრებისგან თავმჯდომარედ არჩეული? 2, ვინ დაგნიშნათ თქვენ საიუბილეო კომიტეტით, თუ თქვენათ დაინიშნეთ თქვენი თავი? 3, თუმცა „ღის“ 33 ნომერშიდ თქვენ თვითონ აღიარებთ: „საიუბილეო დღესასწაულმა მხარულად ჩაიარა“, მაგრამ რადგან მერე წერილშიდ სწერთ: „მით იუბილარი შეურაცხყოფა“, ამისათვის შეტად არ მიმანხია გამოიჩინებს: გათავებული იყო თუ არა დიდი ხნით ინციდენტშიდის დღესასწაული? 4, როდესაც სადილის შემდეგ შე შეძრედა კრებაშიდ და თქვენ მომავლოდეთ თხოვს სულმასწავლად, ჩნს თუ არა პირველადვე გვერდზედ შენთომები, რომლისგანაც ერთი უკვე ჩემის ჩვენებით იყო გასწავრებული და მერევე შეეკითხებოდა თქვენ არ დამეთანხმებოდა და სთქვამთ: „რა უმჯობესია“. 5, ვისთვის თუ არა შე: *ВЪ ОБЩЕМЪ ПРОШЕНИЕ НЕ ПО ФОРМЪ СОСТАВЛЕНО* და ესთხოვით სადგურის უფროსს, როგორც მცოდნეს განსწავლად თხოვს თხოვს თხოვს? 6, სთქვამთ თუ არა თქვენ ამგვარი ჩემი წინადადებას შემდეგ: *სრულბათაც არ მიუღის ხელა მოაწერეთ და არც გაწერანებ სულსაო.* და ან რა გაბასუხებთ? 7, სთქვამთ თუ არა ჩემსად *„написалъ у Мумладзе и пришелъ сюда, я съ дураками дѣла не имѣю“*? 8, რა პასუხი მომცემთ თქვენ, როდესაც ამ ფრანგის გამოცემთ ფიცისა შეტყობით: *Кого вы называете дуракомъ?* 9, სადეთ თუ არა ხელშიდ უფრო ჩემი დასაცავად და ან რა გათხარით შე? და დასასრულ 10, იყო თუ არა

ჩემ მიერ უნდადების სისინება შედეგი თქვენის მხის მღვ. პლატონ უინტელექტუალის სიტყვებისა, რომელიც მეჭარით და თითის ქვევით მეუბნებოდა გაფობს გაჩერდეთ?

აი გასეთებშიდ მოთავსებულ ცნობებთან დღესასწაულის და ინციდენტის შესახებ დ თქვენ მიერ დასმულ საზრადებულ კითხვებთან ერთად მოსამართლეები განხილავენ ამ ჩემ კითხვებსაც.

ჩემის მხრით მედიცინობად განიშნე სურვიონ ანტონის შეს მიმართაშელს და ვლადიმერ ქრისტეფორეს შეს ნდობაშელს, ადგილი განსახილველად იქნება სადგური „მეხანა“ დროს და დღეს დახიშნავენ თვით მედიცინობა. განახნი და უოველივე წარმოება უნდა იქნეს მედიცინობისაგან გასეთებშიდ გამოცხადებული.

სანდრო სენა ე.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჟვდლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1909 წლის განმავლობაში სარწმუნოებრივ საზოგადოებრივი ჟურნალი

„შინაური საქმეები“

გამოვა შემდეგი პროგრამით: წერილები საღვთისმეტყველო, პოლიტიკურ, ეკონომიურ სოციალურ საკითხების შესახებ. ქართული მწერლობა საღვთისმეტყველო და საერო. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. კორრესპონდენციები და შენიშვნები. აბალი ამბები, ტელეგრამები და სხვა

წლიური ფასი 4 მანეთი.

ჩელის მოწერა შეიძლება: ქუთაისში რედაქტორთ ნ (Казаковск., № 17), თბილისში გამომცემელ იოსებ ლეჟავ სთან (Армян. базарь), ფოთში ივანე სუხაშვილთან (არქიერის სასახლე), სახრეში მანუ. იაონ ლამბაშვილთან, ქიათურაში ბლდ. ბეს. ვაშაძესთან, დუშეთში ბლვ ნ. კანთელაკთან.

წლიური ფასის განსწავლად შეიძლება ასე: თავიდან რა მხეთი, და იქნის დასწავლად რა მხეთი ნახევარი წლით გაზეთი ღირს ორ მანეთ ნახევარი.